სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

_____ კახაბერ კირტავა

_24_._06_.2015 წელი

2 ეგზ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის მუნიციპალური პროგრამა „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 10/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1 შემოკლებანი:....3
2 შემაჯამებელი მიმოხილვა....3
3 აუდიტის მიზანი და მასშტაბი....6
4 საქმიანობის მოკლე მიმოხილვა....7
5 გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა....8
5.1 არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები....8
5.2 ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები....9
5.3 ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების კაპიტალური რემონტი....14
5.4 ძველი ბათუმის ქუჩების გაფართოების სამუშაოები....18
5.5 ქალაქის ქუჩებში ვიდეო-კონტროლის სისტემის დანერგვა....20
6 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლუატაცია....21
7 მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა....22
8 აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი....23

1 შემოკლებანი:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის მუნიციპალური პროგრამა ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება“ - პროგრამა;
2. თვითმმართველი ქალაქის -ბათუმის მერია - მერია;
3. თვითმმართველი ქალაქის -ბათუმის საკრებულო - საკრებულო.

2 შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

- ასფალტირებული და არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით მუნიციპალურ პროგრამაში, სატენდერო წინადადებებში და მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის იდენტიფიცირებული შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ადგილმდებარეობა (ქუჩა, ნომერი ან უბანი), ხოლო სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური პირობების შესრულება, სამუშაოს შესრულების აქტებში არ არის ასახული.
- ასფალტირებული და არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის დროს, სატენდერო წინადადებაში სრულყოფილად არ იქნა გათვალისწინებული და შემდგომში შესრულებული ის სამუშაოები, რასაც მუნიციპალური პროგრამა ითვალისწინებდა.
- ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით, შპს ,,გზებთან“ გაფორმებული N270 ხელშეკრულებით, ანგარიშსწორებამდე, მიმწოდებელს საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყო შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა, თუმცა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს აქტის შედგენამდე ერთი დღით ადრე, აღნიშნული პირობა ამოღებულია, რომლის შედეგადაც შესრულებული სამუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის ექსპერტიზა არ იქნა განხორციელებული.
- ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის“ ქვეპროგრამით, კოტე აფხაზის ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, სატენდერო წინადადებაში, ხელშეკრულებაში და შემდგომში წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტში არ არის მითითებული პროგრამის შესაბამის 242 გრძ.მეტრზე ქუჩის მოასფალტების სამუშაო.
- ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის“ ქვეპროგრამით, ურეხის მიმართულებით შარაშიძის ქუჩის მონაკვეთის მოასფალტების სამუშაოებზე, 2014 წლის 20 იანვარს გამოცხადებულია ელექტრონულ ტენდერი (SPA 140001721),

სავარაუდო ღირებულებით 230 000 ლარით, თუმცა 2014 წლის 31 იანვრამდე, ქვეპროგრამით, აღნიშნული სამუშაოები არ იყო გათვალისწინებული.

- ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის“ ქვეპროგრამით, ტროტუარებზე, ხეების ირგვლივ ჩამკეტი ბორდიურების მოწყობის სამუშაოებზე შემსყიდველის მიერ შესყიდვის ეტაპზე, არაერთგვაროვანი მიდგომით არის განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა.
- ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის“ სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო წინადადება და შემდგომში მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ანგარიშსწორებამდე მიმწოდებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის წარმოდგენა, საქონლის მახასიათებლებისა და შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შესახებ. მიმწოდებლების მიერ აღნიშნული მოთხოვნები სრულყოფილად არ არის შესრულებული და ექსპერტიზის დასკვნა წარმოდგენილია შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან დაკავშირებით.
- ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის“ ქვეპროგრამით, ძველი ბათუმის ქუჩების გაფართოების სამუშაოებიდან, ექსპერტიზა ვერ იქნა განხორციელებული 197 კვ.მ - 827,4 ლარის ღირებულების გრანიტის ფილების მოწყობის და 24,35 კვ.მ - 4 952 ლარის ღირებულების გრანიტის ქვაფენილის მოწყობის სამუშაოებზე. დამატებითი მტკიცებულების არარსებობის პირობებში, სახელშეკრულებო ღირებულება მიმწოდებელზე სრულად არის გადახდილი.
- ქალაქის ქუჩებში ვიდეო-კონტროლის სისტემის დანერგვის მომსახურებასთან დაკავშირებით, მიმწოდებელსა და მერიის ტექნიკური სამსახურის წარმომადგენელს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია შესრულებული სამუშაოს დასახელება, რაოდენობა და ღირებულება, რომელიც არ წარმოადგენს შესაფერის და საკმარის მტკიცებულებას, დამონტაჟებული მოწყობილობებისა და მასალების, სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პარამეტრების შესაბამისობაზე.
- ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლუატაცია“- ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ არასრულყოფილად იქნა შესრულებული ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები და ბიუჯეტით გათვალისწინებული 1 921 900 ლარიდან აუთვისებელია 1 335 671 ლარი (69,5%).

რეკომენდაცია
<u>მერიას:</u>

- ✓ დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, პროგრამით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებით.
- ✓ მერიის შესაბამისმა სამსახურმა დააწესოს სათანადო კონტროლი და უზრუნველყოს, რომ სატენდერო წინადადებაში სრულყოფილად იქნეს გათვალისწინებული ყველა შესასრულებელი სამუშაო და მოცულობა, რომელსაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული პროგრამა ითვალისწინებს.
- ✓ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რომელიც აღმოფხვრის საკრებულოს მიერ მუნიციპალური პროგრამების დაუმტკიცებელობის პირობებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას.
- ✓ გაძლიერდეს მონიტორინგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, ამასთან, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გონივრულ ვადაში იმსჯელონ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- ✓ ერთგვაროვანი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის და განხორციელების ეტაპზე, გათვალისწინებული იქნეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ,,ა“ პუნქტით გათვალისწინებული მიზანი, რაც გულისხმობს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას.
- ✓ შემუშავდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების შეუსრულებლობის რისკის წარმოშობის პირობებში დროულად რეაგირებას, ასევე სამუშაოების მიღება-ჩაბარების განხორციელებას ისეთი ფორმით, რომელიც შესაძლებელს გახდის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს სრულ იდენტიფიცირებას.
- ✓ მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში სრულყოფილად აისახოს მომსახურებასთან დაკავშირებით მიწოდებული აქტივების იდენტიფიცირება და შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- ✓ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვისა და ექსპლუატაციის“ ქვეპროგრამის დაგეგმვის, შემსრულებლის შერჩევის და შემდგომში ფაქტობრივად შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს გათვალისწინებული მიზნების სრულყოფილად განხორციელებას.

3 აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში მერიის მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა პროგრამის ფარგლებში მერიის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს მერიის მიერ 2014 წლის მუნიციპალური პროგრამის ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების" შემდეგი საქმიანობა:

1. გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა;
2. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლუატაცია;
3. მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება;
4. ნაპირგამაგრებითი სამუშაოები.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მერიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. მერიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მერიის მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

4 საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

მუნიციპალურ პროგრამასთან დაკავშირებით, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს ფუნქციაა პროგრამის დამტკიცება, ხოლო მერიის ძირითადი ფუნქცია პროგრამის შედგენა, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება, ფაქტობრივად შესრულებაზე ზედამხედველობა და შესრულებული სამუშაოების/მომსახურების მიღება-ჩაბარება.

პროგრამის ბიუჯეტის შესრულება წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N 4.1.

პროგრამის დასახელება	ორგან. კოდი	გეგმა (ათასი ლარი)	შესრულება (ათასი ლარი)
გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა	03 01 01	20 442. 5	17 576. 5
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლუატაცია	03 01 02	1 921. 9	586.20
მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება	03 01 03	5 745. 0	5 745 .0
ნაპირგამაგრებითი სამუშაოები	03 01 04	401.10	367.30

5 გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა

5.1 არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები

კრიტერიუმი: ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების''[1] მუნიციპალური პროგრამის ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის" ქვეპროგრამა (კოდი 03 01 01), ითვალისწინებს არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს, რომელიც მოიცავს ქალაქის ქუჩების შეკეთებას ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით - 100 000კვ.მ, ქალაქის ქუჩების შეკეთებას ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის გარეშე - 100 000კვ.მ, არაასფალტირებულ ქუჩებსა და გზებზე უვარგისი გრუნტის ამოღება და ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შევსება - 500 კუბ.მ. სატენდერო წინადადება და ხელშეკრულება ითვალისწინებს ღრმა ორმოებში პირველად ქვიშა-ხრეშოვანი (ბალასტი) ნარევის ჩაყრას, დატკეპნას და ზემოდან 0-40 ფრაქცია ქვიშა-ღორღოვანი ნარევის გამოყენებას, საშუალო სიღრმის ორმოების მქონე ქუჩებში ჯერ გრეიდერის საშუალებით დამუშავებას და შემდგომ 0-40 ფრაქციის ქვიშა-ღორღოვანი ნარევით მოშანდაგებას. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 820 984 ლარს.

გამოვლენილი გარემოება: ქვეპროგრამის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 26 ნოემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი[2] 820 984 ლარის სავარაუდო ღირებულებით. სატენდერო წინადადებით, ქვეპროგრამის შეუსაბამოდ, შესყიდვა განხორციელდა ქუჩების შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით 16 070 კვ.მ-ით მეტ მოცულობაზე (116 070 კვ.მ), ქალაქის ქუჩების შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის გარეშე 27 485 კვ.მ-ით ნაკლებ მოცულობაზე (72 515კვ.მ). შესყიდვაში მონაწილე უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტთან, შპს ,,არქმშენი 2006"-თან 2013 წლის 31 დეკემბერს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N309 ხელშეკრულება, 564 995,55 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია, თუმცა სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, მუნიციპალურ პროგრამაში, სატენდერო წინადადებებში და მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის იდენტიფიცირებული შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ადგილმდებარეობა (ქუჩა, ნომერი ან უბანი). აუდიტის პერიოდში, ქალაქ ბათუმის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სრულყოფილად ვერ დგინდება ცალკეული არაასფალტირებული ქუჩების სიგრძე და ფართობი, ხოლო მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია ქუჩის დასახელება, თუმცა არ

[1] საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N276 განკარგულება, დაზუსტდა 2014 წლის 17 დეკემბერს N189 განკარგულებით.
[2] SPA130025673.

არის იდენტიფიცირებული გზის რა მონაკვეთზე და რა მანძილზე განხორციელდა სარემონტო სამუშაოები.

ქუჩების სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, სატენდერო წინადადება და ხელშეკრულების ტექნიკური პირობები ითვალისწინებდა ღრმა ორმოებში პირველად ქვიშა-ხრეშოვანი (ბალასტი) ნარევის ჩაყრას, დატკეპნას და ზემოდან 0-40 ფრაქცია ქვიშა-ღორღოვანი ნარევის გამოყენებას. საშუალო სიღრმის ორმოების მქონე ქუჩებში, ჯერ გრეიდერის საშუალებით დამუშავებას და შემდგომ 0-40 ფრაქციის ქვიშა-ღორღოვანი ნარევით მოშანდაგებას, თუმცა სამუშაოს შესრულების აქტებში აღნიშნული ტექნიკური პირობების შესრულება არ არის ასახული.

რეკომენდაცია

<u>მერიას:</u>

დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, პროგრამით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებით.

5.2 ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები

კრიტერიუმი: ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების[3]“ მუნიციპალური პროგრამის ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის“ ქვეპროგრამით (კოდი 03 01 01) გათვალისწინებულია ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ხოლო სატენდერო წინადადება და ხელშეკრულება ითვალისწინებს ღრმა ორმოს შესაკეთებლად 5-20 ფრაქცია ღორღის გამოყენებას, შესაკეთებელი ორმოს კიდეების ფრეზით და კომპრესორით დამუშავებას, ქუჩებში, ტროტუარებსა და მოედნებზე 5სმ სისქის ქვიშის საფუძვლის მომზადებას, მომზადებულ საფუძველზე 6 სმ სისქის ბეტონის ფილის დაგებას, დაზიანებული რკინა-ბეტონის ფილების 14 სმ სისქით შეცვლას, ქალაქის ქუჩებში ახალი ბორდიურების მოწყობას ზომით 150*300მმ, ქალაქის ქუჩებში დაგებული რკინა-ბეტონის ფილების შეკეთებისათვის ფილების დემონტაჟს, 5 სმ სისქის 0-3 ფრაქციის ქვიშის საფუძვლის მოწყობას და სხვა ტექნოლოგიურ პირობებს. სამუშაოს ღირებულება შეადგენს 1 128 100 ლარს.

პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N 5.2.1

რიგითი N	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაო-ბა
1	ქალაქის ქუჩებში ორმოების შეკეთება ცხელი ა/ბეტონით	კვ.მ	31 000

[3] საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N276 განკარგულება, დაზუსტდა 2014 წლის 17 დეკემბერს N189 განკარგულებით.

2	ქალაქის ქუჩების ბორდიურების მოვლა-შეკეთება	გრძ.მ	300
3	ქალაქის ქუჩებში ბეტონის ფილების რემონტი, ფილების ღირებულების გარეშე	კვ.მ	200
4	ქალაქის ქუჩებში ტროტუარებსა და მოედნებზე ბეტონის ფილების დაგება ახალი ფილების ღირებულებით	კვ.მ	500
5	ქალაქის ქუჩებში გამოკლებული ბორდიურების მოწყობა	გრძ.მ	300
6	ქალაქის ქუჩებში დაგებული რკინა-ბეტონის ფილების შეკეთება (ზომით 6მ*2მ)	კვ.მ	6 000
7	ქალაქის ქუჩებში დაგებული დაზიანებული რკინა-ბეტონის ფილების შეცვლა (ზომით 6მ*2მ სისქით 14სმ)	ცალი	70
8	არაასფალტირებულ ქუჩებსა და გზებზე უვარგისი გრუნტის ამოღება და ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შევსება (დატკეპნით)	კბ.მ	2 000
9	ბზარების გაწმენდა-გაფართოება და შევსება ბიტუმით	გრძ.მ	5 000

გამოვლენილი გარემოება: ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის მიერ, 2013 წლის 26 ნოემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი[4], 1 128 100 ლარის სავარაუდო ღირებულებით, თუმცა სატენდერო წინადადებაში სრულყოფილად არ იქნა გათვალისწინებული იმ შესასრულებელი სამუშაოს დასახელებები და მოცულობები, რასაც ქვეპროგრამა ითვალისწინებდა.

პროგრამით და სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული სამუშაოების შედარება წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N 5.2.2.

რიგითი N	სამუშაოს დასახელება	განზომილება	ქვეპროგრამით		სატენდერო წინადადებით		სხვაობა	
			რაო-ბა	ღირ-ბა	რაო-ბა	ღირ-ბა	რაო-ბა	ღირ-ბა
1	ქალაქის ქუჩებში ორმოების შეკეთება ცხელი ა/ბეტონით	კვ.მ	31 000	1 128 100	31 000	1 128 100	0	**0**
2	ქალაქის ქუჩების ბორდიურების მოვლა-შეკეთება	გრძ.მ	300		0		300	
3	ქალაქის ქუჩებში ბეტონის ფილების რემონტი, ფილების ღირებულების გარეშე	კვ.მ	200		0		200	
4	ქალაქის ქუჩებში ტროტუარებსა და მოედნებზე ბეტონის ფილების დაგება ახალი ფილების ღირებულებით	კვ.მ	500		0		500	
5	ქალაქის ქუჩებში გამოკლებული ბორდიურების მოწყობა	გრძ.მ	300		315		-15	
6	ქალაქის ქუჩებში დაგებული რკინა-ბეტონის ფილების შეკეთება (ზომით 6მ*2მ)	კვ.მ	6 000		7 680		-1 680	
7	ქალაქის ქუჩებში დაგებული დაზიანებული რკინა-ბეტონის ფილების შეცვლა (ზომით 6მ*2მ სისქით 14სმ)	ცალი	70		70		0	
8	არაასფალტირებულ ქუჩებსა და	კბ.მ	2 000		2 000		0	

[4] SPA130025663.

	გზებზე უვარგისი გრუნტის ამოღება და ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შევსება (დატკეპნით)							
9	ბზარების გაწმენდა-გაფართოება და შევსება ბიტუმით	გრძ.მ	5 000		5 000		0	
	ჯამი		**45 370**		46 065			

შესყიდვაში მონაწილე ორი პრეტენდენტიდან, უმცირესი ფასის მქონე შპს ,,ჯი-აი-დი“-სთან, 2014 წლის 8 იანვარს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N6 ხელშეკრულება, 999 997,5 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულია 678 579 ლარის ღირებულების სამუშაოები და შემდგომში ხელშეკრულების პირობების დარღვევის მოტივით შეწყვეტილია[5] ხელშეკრულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბათუმის მერიის მიერ 2014 წლის 17 ნოემბერს გამოცხადებულია ახალი სახელმწიფო შესყიდვა[6] დარჩენილი 321 278 ლარის სამუშაოების შესრულებაზე, თუმცა სატენდერო წინადადებაში კვლავ არ არის გათვალისწინებული შეწყვეტილი შესყიდვის შედეგად დარჩენილი შეუსრულებელი სამუშაოები.

სამუშაოების შესრულება წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N 5.2.3.

რიგითი N	სამუშაოს დასახელება	განზომილება	,,ჯი-აი-დი"						განმეორებითი შესყიდვის სატენდერო წინადადებით		სხვაობა
			გათვალისწინებული ხელშეკრულებით		ფაქტობრივი შესრულება		შეუსრულებელი სამუშაოები				
			რაო-ბა	ღირ-ბა	რაო-ბა	ღირ-ბა	რაო-ბა	ღირ-ბა	რაო-ბა	ღირ-ბა	რაო-ბა
1	ქალაქის ქუჩებში ორმოების შეკეთება ცხელი ა/ბეტონით	კვ.მ	31 000	713 000	19 142	440 266	11 858	272 734	9 250	321 278	2 608
2	ქალაქის ქუჩებში გამოკლებული ბორდიურების მოწყობა	მ	65	2 039	0	0	65	2 039			65
3	ქალაქის ქუჩებში დაგებული რკინა-ბეტონის ფილების შეკეთება (ზომით 6მ*2მ)	კვ.მ	7 920	197 604	7 727	192 813	193	4 791	1 500		-1 307
4	ქალაქის ქუჩებში დაგებული დაზიანებული რკინა-ბეტონის ფილების შეცვლა (ზომით 6მ*2მ სისქით 14სმ)	ც	99	64 350	70	45 500	29	18 850	30		-1
5	არაასფალტირებულ ქუჩებსა და გზებზე უვარგისი გრუნტის ამოღება და ბუნებრივი	კბ.მ	1 500	15 000	0	0	1 500	15 000	100		1 400

[5] ბრძანება N744 03/11/2014, გადახდილია პირგასამტეხლო 5 % 50 000 ლარი.
[6] SPA140026609.

	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შევსება (დატკეპნით)										
6	ბზარების გაწმენდა-გაფართოება და შევსება ბიტუმით	მ	2 000	8 000	0	0	2 000	8 000			2 000
	ჯამი			999 993		678 579		321 414		321 278	

ტენდერის შედეგებიდან გამომდინარე, 2014 წლის 27 ნოემბერს შპს ,,გზებთან" გაფორმებულია N270 ხელშეკრულება, 321 278 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ შემსყიდველის მიერ კვლავ არ არის განხორციელებული პროგრამით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1 500 ლარის ღირებულების რკინა-ბეტონის ფილების (ზომით 6მ*2მ, სისქით 14სმ) შეცვლა[7].

ზემოაღნიშნული სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, მუნიციპალურ პროგრამაში, სატენდერო წინადადებებში და მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში[8] არ არის იდენტიფიცირებული შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ადგილმდებარეობა (ქუჩა, ნომერი ან უბანი), ხოლო სამუშაოებთან დაკავშირებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გაგზავნილ წერილებში[9] მითითებულია მხოლოდ ქუჩის დასახელება. ხშირ შემთხვევებში შესასრულებელი სამუშაოს ადგილმდებარეობად მითითებულია ერთი და იგივე დასახელების ქუჩა, სადაც არ არის მითითებული ქუჩის მონაკვეთი, ნომერი ან უბანი. ანალოგიურად, მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმაN2) შესრულებული სამუშაოს ადგილმდებარეობად მითითებულია მხოლოდ ქუჩის დასახელება. კერძოდ:

- ქალაქის ქუჩებში ორმოების შეკეთება ცხელი ა/ბეტონით, ორივე მიმწოდებელს მითითებული აქვს ერთი და იგივე ქუჩის დასახელება[10] როგორიცაა თამარ მეფის გამზირი, ჯავახიშვილის, გოგოლის, შავშეთის, წერეთელის, ნონეშვილის, ს. მესხის, ლეონიძის ქუჩები და სხვა.

- ქალაქის ქუჩებში დაგებული რკინა-ბეტონის ფილების შეკეთების, დაზიანებული რკინა-ბეტონის ფილების შეცვლის, უვარგისი გრუნტის ამოღებისა და ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შევსების (დატკეპნით) სამუშაოებთან დაკავშირებით, შპს ,,გზების" მიერ საერთოდ არ არის მითითებული ქუჩის დასახელება და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ადგილმდებარეობა. აღნიშნული გარემოებებიდან

[7] გადახდილია მიმწოდებელზე 1 500 ლარით ნაკლები 319 778 ლარი.

[8] SPA 130025663, შპს ,,ჯი-აი-დი'' ხელშეკრულება N6 08/01/2013 წელი და SPA 140026609, შპს ,,გზები'' ხელშეკრულება N270 27/11/2014 წელი.

[9] შპს ,,ჯი-აი-დი" N25/2490 28/02/2014წ. N25/5239 07/04/2014წ. N25/7774 08/05/2014წ და სხვა.

[10] არ არის იდენტიფიცირებული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს პიკეტაჟი ან ქუჩის ნომერი.

გამომდინარე, შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოების ფაქტობრივი მდგომარეობა მაღალი რისკის შემცველია.

ქუჩების სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით სატენდერო წინადადების[11] და ხელშეკრულების ტექნიკური პირობები ითვალისწინებდა ღრმა ორმოს შესაკეთებლად 5-20 ფრაქცია ღორღის გამოყენებას, შესაკეთებელი ორმოს კიდეების ფრეზით და კომპრესორით დამუშავებას, ქუჩებში, ტროტუარებსა და მოედნებზე 5სმ სისქის ქვიშის საფუძვლის მომზადებას, მომზადებულ საფუძველზე 6 სმ სისქის ბეტონის ფილის დაგებას, დაზიანებული რკინა-ბეტონის ფილების 14 სმ სისქით შეცვლას, ქალაქის ქუჩებში ახალი ბორდიურების მოწყობას ზომით 150*300მმ, ქალაქის ქუჩებში დაგებული რკინა-ბეტონის ფილების შეკეთებისათვის ფილების დემონტაჟს, 5 სმ სისქის 0-3 ფრაქციის ქვიშის საფუძვლის მოწყობას და სხვა ტექნოლოგიურ პირობებს. აღნიშნული ტექნოლოგიური პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, აუდიტის პერიოდში დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს ,,გზებთან“ გაფორმებული N270 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1 მუხლი ითვალისწინებდა, რომ ანგარიშსწორებამდე მიმწოდებელს საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყო, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტებით გათვალისწინებულ პირობებთან, თუმცა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს აქტის შედგენამდე[12] ერთი დღით ადრე, 2014 წლის 24 დეკემბერს მხარეებს შორის გაფორმებულია შეთანხმება[13] და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1 მუხლის მოთხოვნები ამოღებულია მიმწოდებლის ვალდებულებიდან, რომლის შედეგადაც შესრულებული სამუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის ექსპერტიზა არ იქნა განხორციელებული.

რეკომენდაცია

<u>მერიას:</u>

დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების პროგრამის შესაბამისად შესრულებას.

[11] SPA 130025663, შპს ,,ჯი-აი-დი'', N6 - 08/01/2013 წ. SPA 140026609, შპს ,,გზები'', N270 - 27/11/2014 წ.

[12] 25.12.2014წ.

[13] N1. მოტივი, სატენდერო დოკუმენტაციით აღნიშნული პირობა გათვალისწინებული არ ყოფილა.

5.3 ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების კაპიტალური რემონტი

კრიტერიუმი: ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების[14]" მუნიციპალური პროგრამის ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის" ქვეპროგრამით (კოდი 03 01 01), გათვალისწინებულია კოტე აფხაზის ქუჩის 242 გრძივ მეტრზე მოასფალტების, ქუჩის მონაკვეთზე 5სმ სისქით 1 680 კვ.მ წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 81 400 ლარს.

გამოვლენილი გარემოება: პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, 2014 წლის 20 იანვარს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი[15] 81 306 ლარის სავარაუდო ღირებულებით, თუმცა სატენდერო წინადადებაში (შესასრულებელი სამუშაოების დასახელება და ფასების ცხრილი) და ხელშეკრულებაში არ არის მითითებული პროგრამის შესაბამის 242 გრძ.მეტრზე ქუჩის მოასფალტების სამუშაო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებშიც არ არის იდენტიფიცირებული ფაქტობრივად მოსფალტებულ 242 გრძივ მეტრზე გზის სიგრძე, რადგან ყველა შესრულებული სამუშაოს მოცულობის ზომის ერთეულად მითითებულია კუბური მეტრი და კვადრატული მეტრი.

კრიტერიუმი: ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების[16]" მუნიციპალური პროგრამის ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის" ქვეპროგრამა (კოდი 03 01 01), 2014 წლის 31 იანვრამდე პერიოდში, ურეხის მიმართულებით შარაშიძის ქუჩის მონაკვეთის სამუშაოები გათვალისწინებული არ არის, ხოლო შემდგომში აღნიშნული სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით სატენდერო წინადადების და მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით, პრეტენდენტი ვალდებულია ანგარიშსწორებამდე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან.

გამოვლენილი გარემოება: ურეხის მიმართულებით შარაშიძის ქუჩის მონაკვეთის სამუშაოების განხორციელებისათვის, 2014 წლის 20 იანვარს გამოცხადებულია ელექტრონულ ტენდერი[17] სავარაუდო ღირებულებით 230 000 ლარი. უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტთან, შპს ,,გზებთან", 2014 წლის 27 თებერვალს გაფორმებულია N51

---

[14] საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N276 განკარგულება, დაზუსტდა 2014 წლის 17 დეკემბერს N189 განკარგულებით.

[15] SPA140001638 შპს ,,ბონდი 2009", ხელშეკრულება N57. 04.03.2014. ღირებულება 59 999 ლარი.

[16] საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N276 განკარგულება, დაზუსტდა 2014 წლის 17 დეკემბერს N189 განკარგულებით.

[17] SPA 140001721.

ხელშეკრულება, 218 396,94 ლარის ღირებულების სამუშაოების შესყიდვაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯზე, შემცირებულია სახელშეკრულებო ღირებულება და ფაქტობრივად შესრულებაში ნაჩვენებია 211 737,4 ლარის ღირებულების სამუშაოები, რომელთან დაკავშირებით შემსყიდველის მიერ წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სატენდერო წინადადების (2.2.5 პუნქტი) ტექნიკური პირობების მიხედვით, პრეტენდენტი ვალდებული იყო ანგარიშსწორებამდე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყო სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან. მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში აღნიშნული ვალდებულება სრულყოფილად არ არის ასახული და მხოლოდ მითითებულია, რომ (მუხლი 9.2) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. წარმოდგენილი დოკუნეტების ანალიზით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ დარღვეულია სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების პირობები, ექსპერტიზის წინაშე დასმულია კითხვა და შესაბამისად წარმოდგენილია დასკვნა მხოლოდ ჩატარებული სამუშაოს მოცულობასა და ღირებულებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწყის ეტაპზე, ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დროს, 2014 წლის 20 იანვარს, მუნიციპალური ქვეპროგრამით აღნიშნული სამუშაოების განხორციელება და შესაბამისი ასიგნება[18] არ იყო გათვალისწინებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადება და პრეტენდენტებთან ვალდებულების აღება საფუძველს არის მოკლებული.

კრიტერიუმი: ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების[19]" მუნიციპალური პროგრამის ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის" ქვეპროგრამით (კოდი 03 01 01), გათვალისწინებულია ტროტუარებზე, ხეების ირგვლივ ჩამკეტი ბორდიურების მოწყობის სამუშაოები. სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობებით, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ლაბორატორიული დასკვნა საქონლის მახასიათებლების შესახებ, აგრეთვე გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" დასკვნა. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი.

---

[18] თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N3 განკარგულებით (პუნქტი 5,7) განისაზღვრა ასიგნება 230 000 ლარი.

[19] საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N276 განკარგულება, დაზუსტდა 2014 წლის 17 დეკემბერს N189 განკარგულებით.

გამოვლენილი გარემოება: ტროტუარებზე[20] ხეების ირგვლივ ჩამკეტი ბორდიურების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, შპს ,,მონოლითი 2005“-თან 2014 წლის 26 მარტს გაფორმებული N77 ხელშეკრულებით[21], შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა შეადგენს 7 410 გრძ.მეტრს, ხოლო სამუშაოების ღირებულება 24 372.41 ლარს. ანალოგიური სამუშაოებისათვის, 2013 წლის 17 დეკემბერს ინდ. მეწარმე ,,ვაჟა სურმანიძესთან“ გაფორმებული N271 ხელშეკრულებით[22], შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა შეადგენს 2 179 გრძ.მეტრს, ხოლო სამუშაოების ღირებულება 54 999,75 ლარს. მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, ორივე შემთხვევაში სამუშაოები დასრულებულია და გადახდილია შესრულებული სამუშაოების ღირებულება. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ შემსყიდველის მიერ შესყიდვის ეტაპზე არაერთგვაროვანი მიდგომით არის განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა. კერძოდ, 2014 წლის 14 თებერვალს გამოცხადებულ სატენდერო წინადადებაში (SPA 140004720, მიმწოდებელი შპს ,,მონოლითი 2005“), ზუსტად არის მითითებული გამოსაყენებული მასალების (2.2.2. პუნქტი), ბაზალტის ბორდიურის სიგრძე - 8სმ, სიმაღლე -15სმ, ხარისხი гост 666-81, гост 9479-98 და წახნაგების მდგომარეობა. აგრეთვე, სატენდერო წინადადებით მოთხოვნილია, რომ უნდა წარმოდგენილიყო ლაბორატორიული დასკვნა საქონლის მახასიათებლების შესახებ. გამარჯვებულ პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა. შემსყიდველის მიერ, ზემოთ აღნიშნული პირობები არ არის გათვალისწინებული სატენდერო წინადადებაში (SPA 130024552, მიმწოდებელი ინდ.მეწარმე ,,ვაჟა სურმანიძე“).

კრიტერიუმი: ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების[23]“ მუნიციპალური პროგრამის, ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის“ ქვეპროგრამების (კოდი 03 01 01) შესასრულებლად გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო წინადადება და შემდგომში მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებება ითვალისწინებს, რომ ანგარიშსწორებამდე, მიმწოდებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის წარმოდგენა საქონლის მახასიათებლებისა და შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შესახებ.

---

[20] ქუჩები-გორგილაძის, გრიბოედოვის, გორგასალის, ვაჟა ფშაველას, ჭავჭავაძის, დ.თავდადებულის, 26 მაისის, მელიქიშვილის, ლ.ასათიანის, რუსთაველის, ინასარიძის.

[21] SPA 140004720.

22 SPA 130024552.

[23] საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N276 განკარგულება, დაზუსტდა 2014 წლის 17 დეკემბერს N189 განკარგულებით.

გამოვლენილი გარემოება: წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევაში, მიმწოდებელების მიერ სრულყოფილად არ არის შესრულებული სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. კერძოდ, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა უნდა წარმოდგენილიყო საქონლის მახასიათებლებისა და შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, ფაქტობრივად კი დასკვნა წარმოდგენილია მხოლოდ ჩატარებული სამუშაოების მოცულობასა და ღირებულებაზე.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მახასიათებლების ფაქტობრივ მდგომარეობასთან და შესრულებული სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობა რისკის შემცველია.

მიმწოდებლების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N 5.3.1.

რიგითი N	ხელშეკრულების ნომერი	SPA	ხელშეკრულების საგანი	მიმწოდებელი	გადახდილი თანხა
1	77	140001621	კობალაძის ქუჩის 505გრძ.მეტრი მონაკვეთის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა	შპს ,,ჯი-აი-დი"	272 569.90
2	139	140011614	გენერალ ა. აბაშიძის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა	შპს ,,გზა"	253 408.70
3	222	140020583	გენერალ კვინტრაძის ქუჩის კეთილმოწყობა	შპს ,,გზები"	299 866
4	224	140020581	ხაბაძის ქუჩის კეთილმოწყობა	შპს ,,გზები"	205 614
5	223	140020582	ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის კეთილმოწყობა	შპს ,,გზები"	240 340
6	154	140012071	გრიგოლ ფერაძის ქუჩის კეთილმოწყობა	შპს ,,გზა"	320 000
7	219	140020589	შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის გზადგამყოფ ზოლში დეკორატიული დამცავი ღობის მოწყობა	შპს ,,იმედი 2012"	265 997
8	87	140004357	გოგებაშვილის ქუჩის გზადგამყოფ ზოლში დეკორატიული დამცავი ღობის მოწყობა	შპს ,,GIE'	231 116
			ჯამი		2 088 911.60

რეკომენდაცია

<u>მერიას:</u>

- სატენდერო წინადადების გამოცხადების ეტაპზე, უზრუნველყოფილი იქნეს სატენდერო წინადადების მუნიციპალურ პროგრამასთან შესაბამისობა, რაც ხელს შეუწყობს შესრულებული სამუშაოების იდენტიფიცირებას.

- დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც აღმოფხვრის საკრებულოს მიერ მუნიციპალური პროგრამების დაუმტკიცებელობის პირობებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას.

- მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გონივრულ ვადაში იმსჯელონ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

- ერთგვაროვანი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის და განხორციელების ეტაპზე, გათვალისწინებული იქნეს ,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ,,ა“ პუნქტით გათვალისწინებული მიზანი.

5.4 ძველი ბათუმის ქუჩების გაფართოების სამუშაოები

კრიტერიუმი: ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების“ მუნიციპალური პროგრამის[24] ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის“ ქვეპროგრამით (კოდი 03 01 01), ძველი ბათუმის ქუჩების გაფართოების ღონისძიებაში გათვალისწინებულია ქ. ბათუმში ქუთაისის, მ. აბაშიძის (კ. გამსახურდას ქუჩიდან ზ. გამსახურდიას ქუჩამდე) და ზ. გამსახურდიას ქუჩის სავალი ნაწილის გაფართოების სამუშაოები. სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით მიმწოდებლმა ანგარიშსწორებამდე, საკუთარი სახსრებით უნდა წარმოადგინოს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან. სამუშაოს ღირებულება შეადგენს 81 400 ლარს.

გამოვლენილი გარემოება: ძველი ბათუმის ქუჩების გაფართოების სამუშაოების ღონისძიების ფარგლებში, ქ. ბათუმში ქუთაისის, მ. აბაშიძის (კ. გამსახურდას ქუჩიდან ზ. გამსახურდიას ქუჩამდე) და ზ. გამსახურდიას ქუჩის სავალი ნაწილის გაფართოების სამუშაოებისათვის პროგრამით გათვალისწინებული იყო 265 100 ლარის სამუშაოების განხორციელება. პროგრამის უზრუნველსაყოფად 2014 წლის 20 იანვარს, ელექტრონული ტენდერის[25] შედეგად, სავარაუდო ღირებულება 265 006 ლარი, უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტთან, შპს ,, მონოლითი-2005“- თან 2014 წლის 28 თებერვალს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N53 ხელშეკრულება, 224 899, 61 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. სამუშაოს შესრულების

[24] საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N276 განკარგულება, დაზუსტდა 2014 წლის 17 დეკემბერს N189 განკარგულებით.
[25] SPA140001607.

ვადად განისაზღვრა 2014 წლის 14 აპრილი. 2014 წლის 11 აპრილს (ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 3 დღით ადრე) მხარეთა შეთანხმებით, პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები[26] შემცირდა 26,21%-ით (58965,55 ლარი) და ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 165 934, 06 ლარით, თუმცა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ ფაქტობრივად შესრულებულია 159 487,97 ლარის ღირებულების[27] სამუშაოები, რაზედაც განხორციელდა სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ექსპერტიზა[28]. წარმოდგენილი დასკვნით ირკვევა, რომ 197 კვ.მ - 827,4 ლარის ღირებულების გრანიტის ფილების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით ექსპერტიზა ვერ იქნა ჩატარებული, რადგან ზღვარი ახალსა და ძველ მოწყობილს შორის ვერ დადგინდა, ასევე ექსპერტიზისათვის გაურკვეველი დარჩა 24,35 კვ.მ. - 4 952 ლარის ღირებულების შესრულებაში ნაჩვენები გრანიტის ქვაფენილის მოწყობის მდგომარეობა, რადგან სამუშაოს დასახელება არასრულყოფილად არის მოცემული. დასკვნაში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, იმ სამუშაოების ღირებულების ჩათვლა, რაზედაც ექსპერტიზა ვერ განხორციელდა, დამკვეთის პრეროგატივაა". შემსყიდველის მიერ დოკუმენტურად ვერ იქნა დადასტურებული იმ სამუშაოების ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელზეც ექსპერტიზამ დასკვნა ვერ გასცა, შესრულებაში ნაჩვენები თანხა კი მიმწოდებელზე სრულად არის გადახდილი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიზნების შესრულება, შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოების ფაქტობრივი მდგომარეობა და მიმწოდებელზე გადახდილი ფასის ფაქტობრივ ღირებულებასთან შესაბამისობა რისკის შემცველია.

რეკომენდაცია

<u>მერიას:</u>

შემუშავდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების შეუსრულებლობის რისკის წარმოშობის პირობებში დროულად რეაგირებას, ასევე სამუშაოების მიღება-ჩაბარების განხორციელებას ისეთი ფორმით, რომელიც შესაძლებელს გახდის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს სრულ იდენტიფიცირებას.

---

[26] ,,შესაძლებელია ქუჩების ეზოების შესასვლელებში და პარკინგის შეჭრის ადგილებში არსებული ბორდურების უცვლელ მდგომარეობაში დატოვება"

[27] სხვაობა შეადგენს 6446,44 ლარს, მათ შორის რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 4111,4 ლარს,დღგ 983,36 ლარს და უშალოდ სამშენებლო სამუშაოები 1 351,69 ლარს.

[28] 2014 წლის 10 ივნისის N002947214.

5.5 ქალაქის ქუჩებში ვიდეო-კონტროლის სისტემის დანერგვა

კრიტერიუმი: ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების[29]“ მუნიციპალური პროგრამის ,,გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის“ ქვეპროგრამით (კოდი 03 01 01), გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩებში ვიდეო-კონტროლის სისტემის დანერგვა. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1 000 000 ლარს, ხოლო ყველა გამოყენებული საქონელი/მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტს. ყველა მასალა, მოწყობილობა, საკომპლექტო ნაწილი, სამარაგო ნაწილი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი, სტანდარტული, მაღალი ხარისხის, საუკეთესო დონეზე დაპროექტებული და დამზადებული.

გამოვლენილი გარემოება: ქალაქის ქუჩებში ვიდეო-კონტროლის სისტემის დანერგვის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, 2014 წლის 27 აგვისტოს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი(SPA 140020212) 1 080 000 ლარის სავარაუდო ღირებულებით. უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს შპს ,,დელტა კომმთან“ 2014 წლის 20 ოქტომბერს გაფორმებულია N243 ხელშეკრულება, 1 000 000 ლარის მომსახურებასთან დაკავშირებით. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, მომსახურება გაწეულია და გადახდილია სახელშეკრულებო ღირებულება. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების ტექნიკური პირობების 2.2.1 მუხლის ,,ა“ პუნქტის მიხედვით, ყველა გამოყენებული საქონელი/მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტს. ყველა მასალა, მოწყობილობა, საკომპლექტო ნაწილი, სამარაგო ნაწილი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი, სტანდარტული, მაღალი ხარისხის, საუკეთესო დონეზე დაპროექტებული და დამზადებული.

სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებელსა და მერიის ტექნიკური სამსახურის წარმომადგენელს შორის გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი და მითითებულია, შესრულებული სამუშაოს დასახელება, რაოდენობა და ღირებულება, რომელიც არ წარმოადგენს შესაფერის და საკმარის მტკიცებულებას, დამონტაჟებული მოწყობილობებისა და მასალების, სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პარამეტრების შესაბამისობაზე.

[29] საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N276 განკარგულება, დაზუსტდა 2014 წლის 17 დეკემბერს N189 განკარგულებით.

რეკომენდაცია

<u>მერიას:</u>

ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიღებასთან დაკავშირებით მხარეებს შორის გაფორმებულ მტკიცებულებებში, სრულყოფილად აისახოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ფაქტობრივად მიწოდებული აქტივებისა და გაწეული მომსახურების ურთიერთშესაბამისობა.

6 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლუატაცია

კრიტერიუმი: ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების[30]" მუნიციპალური პროგრამის, ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლუატაცია" ქვეპროგრამის (კოდი 03 01 02) მიზანია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. კერძოდ, სატრანსპორტო იფრასტრუქტურის მოვლა, შენახვა და ექსპლუატაცია, სატრანსპორტო-საგზაო რეგულირების თანამედროვე საშუალებების დანერგვა, მატერიალურ -ტექნიკური ბაზის განახლება. ქვეპროგრამის შემსრულებელია ა(ა)იპ ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო". ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1 291 900 ლარს.

გამოვლენილი გარემოება: ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვისა და ექსპლუატაციის" ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1 263 100 ლარს. ქვეპროგრამაში განხორციელებული ცვლილებებით, დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 1 921 900 ლარს, მათ შორის 2014 წლის ღონისძიებისათვის გათვალისწინებულია 1 368 100 ლარის ხარჯების გაწევა, ხოლო წინა წლის გარდამავალი ღონისძიებისათვის 553 800 ლარის ხარჯების გაწევა. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პროგრამის განმახორციელებლის მიერ არასრულყოფილად იქნა შესრულებული ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები და ბიუჯეტით გათვალისწინებული 1 921 900 ლარიდან აუთვისებელია 1 335 671 ლარი (69,5%). კერძოდ, დამტკიცებული 69 საშტატო ერთეულიდან, ფაქტობრივად დასაქმებულია 67 საშტატო ერთეული, სრულყოფილად არ იქნა შეძენილი სამშენებლო მასალები და ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება. საერთოდ არ არის შესრულებული წინა წლების ვალდებულება- თანამედროვე საგზაო ნიშნების მონტაჟი, პარკომეტრების მონტაჟი, სატვირთო და სპეციალიზირებული ტრანსპორტისათვის სპეც.სადგომების მოწყობა და სხვა.

[30] საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N276 განკარგულება, დაზუსტდა 2014 წლის 17 დეკემბერს N189 განკარგულებით.

რეკომენდაცია
მერიას:

გატარდეს ქმედითი ღონისძიებები მუნიციპალური ქვეპროგრამის დაგეგმვის, შემსრულების შერჩევისა და შემდგომში ფაქტობრივად შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების სრულყოფილად განხორციელებას.

7 მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

- ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით, აუდიტის პერიოდში, შპს ,,გზაზე“ გადახდილია 642 172 ლარი. შესასრულებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია 2011 წლის 20 ოქტომბერს და გაფორმებულია N309 ხელშეკრულება (SPA 110021890), რომლის მიხედვით, მთლიანი შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენს 13 499 999 ლარს, ხოლო შესრულების ვადა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2012 წლის პირველ ნოემბრამდე პერიოდს. აუდიტის პერიოდში, მხარეებს შორის ეტაპობრივად, 9 შემთხვევაში გაფორმებულია შეთანხმება და სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 15 დეკემბრამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 20 იანვრამდე პერიოდით. წარმოდგენილი დოკუმენტებით, ხელშეკრულებაში ცვლილების მოტივად და ვადის გაგრძელების საფუძვლად მითითებულია, მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, ცალკეულ წლებში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობითი ცვლილება, ახალი სამუშაოების წარმოშობა და სხვა. სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელება (3 წელი), შესასრულებელი სამუშაოს მოცულობების და ღირებულების სისტემატური ცვლილება, შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე და სახელმწიფო შესყიდვის არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს.
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N276 განკარგულებით[31] დამტკიცებული ,,მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების“ ქვეპროგრამის საფუძველზე (კოდი 03 01 03), შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი“ სუბსიდიის სახით დაფინანსებულია 5 745 000 ლარით. დაფინანსების მოტივად პროგრამაში მითითებულია, რომ „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ მიმდინარე ეტაპზე უზრუნველყოფს მგზავრთა რეგულარულ გადაყვანას ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით, თვის განმავლობაში კომპანიის მიერ მოსახლეობისადმი გაწეული მომსახურება შეადგენს 850000 მგზავრთბრუნვას. ამასთან, თვითმმართველობა იღებს ვალდებულებას შეინარჩუნოს მგზავრობის ფიქსირებული მინიმალური საფასური და ასევე ხელი შეუწყოს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას,

[31] დაზუსტებულია 2014 წლის 17 დეკემბრის N189 განკარგულებით.

ისარგებლოს შეღავათიანი მგზავრობის საფასურით. არსებული ფინანსური გაანგარიშებით, საწარმოს შემოსავლები არ არის საკმარისი მისი შეუფერხებელი მუშაობისათვის, საწარმოს შემოსავლები ხარჯებთან მიმართებაში უარყოფითია. საწარმოს დაფინანსებით მოიხსნება მიმდინარე პერიოდში არსებული პრობლემები, რაც სამომავლოდ აისახება ქალაქის საქალაქო ტრანსპორტის გამართულ და შეუფერხებელ მუშაობაზე. ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ფინანსური დეფიციტისა და დაწესებული შეღავათიანი მომსახურების გაწევით, წლის განმავლობაში წარმოქმნილი საოპერაციო დეფიციტის დაფარვას, რაც უზრუნველყოფს კომპანიის გამართულ და შეუფერხებელ მუშაობას. დაფინანსებასთან დაკავშირებით, შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტის" მიერ მერიაში, ყოველთვიურად წარდგენილია წერილობითი ინფორმაცია, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ, რომლის კანონშესაბამისობის მდგომარეობის შესწავლა შესაძლებელია შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტის" აუდიტით.

8 აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

ნადიმ ბოლქვაძე
/უფროსი აუდიტორი/

24.06.2015

ზვიად ვარშალომიძე
/ აუდიტორი/

24.06.2015

მიხეილ დიასამიძე
/აუდიტორ ასისტენტი/